ქ. წალენჯიხა 10 თებერვალი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რიგგარეშე სხდომის ოქმი

2022 წლის 10 თებერვალს, 11:00 საათზე გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია, ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ფარცვანია, სოლომონ სარია, გონერ კვარაცხელია,ბაჩანა ქანთარია, ირაკლი სალია, ომარ ქარდავა; ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მაია მიქავა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თვმჯდომარე მამუკა მიქავა, ფარქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გონერ კვარაცხელია, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ გაბელია, მოადგილე გიორგი დარსალია, საკრებულოს წევრები: თემურ ქარდავა, თენგო ფიფია, მერიის წარმომადგენლები: მერის პირველი მოადგილე ლაშა ზარქუა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია და მოქალაქეები.

დღის წესრიგი:

1.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/ მომხსენებელი-თეა სარია/

2.სხვადასხვა

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, ცვლილებები განახორციელა მერიამ და კომისიის წევრებს წარუდგინა ახალი განმარტებითი ბარათი. მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. მან სხდომას გააცნო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, გააკეთა ცვლილებების შედარება ბიუჯეტის პარამეტრებთან მიმართებაში.

ფრაქციის თავმჯდომარე მაია მიქავამ- მიიჩნია რომ ამ ცვლილებებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მაგნიტურ -რეზონანსული ტომოგრაფიაფიაზე თანადაფინანსება, რაზეც მერის პირველმა მოადგილემ ლაშა ზარქუამ და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ აღნიშნეს რომ, ეს ცვლილება სოციალურ პაკეტში აუცილებლად იქნება და კიდევ ერთხელ გამოთქვეს მზადყოფნა შემუშავდეს ეს პროექტი. მერის პირველმა მოადგილემ ლაშა ზარქუამ ასევე აღნიშნა, რომ ის შენიშვნები რაც წინა კომისიის სხდომებზე იქნა წამოყენებული გათვალისწინებულია.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ, მაღალი აკადემიური მოსწრების სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების სწავლის დაფინანსებაზე ისაუბრა, რომლის გათვალისწინება წაადგება მუნიციპალიტეტს სამედიცინო დაწესებულებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის საკითხში. ასევე გაამახვილა ყურადღება სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე და ქ.ჯვარში კორპუსების გადახურვის პრობლემებზე. აქედან გამომდინარე მიიჩნია, რომ მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტის ამ ცვლილებებით განხილვა საკრებულოს სხდომაზე მიზანშეწონილი არ იქნება.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდა და შესაბამისად, საჯარო მოხელეთა თანამდებობის სარგოებში ცვლილება აუცილებლად გადასახედია.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ამით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა. სხდომა დასრულდა 12^{30} სთ-ზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე /ბაჩანა ქანთარია/